



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 26-109

30 ოქტომბერი
“ --- ” ----- 2015 წ

ძ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველის პუნქტის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში (ვებგვერდი, 14/08/2015წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016199) და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველის პუნქტის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 118¹ მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის

საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-4 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებულ წესში და წესის:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად და განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების – უძრავი და მოძრავი ნივთების, წილების, აქციების, მოთხოვნების და უფლებების (შემდგომში – ქონება) პირდაპირი განკარგვის ფორმით ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესს.“.

ბ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური და საპრივატიზებო პირობები.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების, წილებისა და აქციების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო საფასურს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის გათვალისწინებით, ასევე აუდიტორული (ექსპერტი) დასკვნის გარეშე-ნებისმიერი, მათ შორის სიმბოლური, თანხის ოდენობით.

2. კონკურენტული შერჩევის დროს საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ასევე შემოთავაზებული ფასის საუკეთესო წინადადება.

3. გაცვლის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საპრივატიზებო საფასურით, ასევე საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

4. თუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას, გაცვლის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საპრივატიზებო საფასურით, აუდიტორული (ექსპერტის) დასკვნით დადგენილი საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით.


5. ქონების პრივატიზებისას შესაძლებელია განისაზღვროს საპრივატიზებო პირობა (პირობები), რომელიც ძირითად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს ქონების შემქმნისთვის.

6. საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულო.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

2015 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (4310-1ს), რომელის თანახმადაც ახლებურად დარეგულირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის პროცედურები. კერძოდ, დაზუსტდა საკრებულოს ფუნქციონირების მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის დროს ფასის განსაზღვრის წესის დადგენის ნაწილში. რამაც აუცილებელი გახადა ფასის განსაზღვრის ნაწილში კოდექსის შესაბამისად წესში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

წესში განიმარტა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით რიგი საკითხები. კერძოდ:

- დადგენილების სათაური შესაბამისობაში მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ცვლილებასთან;
- იცვლება და მარტივდება დანაწესი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის წესებს;

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.